სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

66816435476517

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N171386570

რეგისტრაციის თარიღი

28.11.2017 წ

ნოტარიუსი: მაია ბიგვავა
მისამართი: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი #26
ტელეფონი: 2999620, 2932317

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი
საქართველო

ორი ათას ჩვიდმეტი წლის ოცდარვა ნოემბერს მე, ნოტარიუს მაია ბიგვავას ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე მისამართზე: თბილისი რუსთაველის გამზირი №26. მომმართა შპს-მ „ **GREEN WAY** “ წარმოდგენილმა დირექტორის (ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შპს „ **GREEN WAY** “ -ის შესახებ, ს/კ 425052444) მოჰამედ ხორამ ტოსის (დაბადებული 21.09.1970წ. პირადი № 01894001174, მცხოვრები: თბილისი ხიზაბავრის ქ. 5 ბ. 77.) სახით. მან განაცხადა, რომ სურს შეადგინოს მინდობილობა, რომელიც დამოწმდება სანოტარო წესით. მე დავადგინე მოჰამედ ხორამ ტოსის პირადობა მის მიერ წარმოდგენილი, ზემოთ მითითებული პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად მოჰამედ ხორამ ტოსმა მომმართა. მან განაცხადა, რომ ჯეროვნად ფლობს ინგლისურ ენას, ამიტომ მინდობილობის დადასტურებაში მოანწილეობდა მის მიერ შერჩეული, ჩემთვის ცნობილი თარჯიმანი, ნანა ჭანტურიძე (პირადი № 35001044280), რომელიც ჩემს, ნოტარიუსის მიერ გაფრთხილებულ იქნა თარგმანის სიზუსტეზე პასუხისმგებლობისა და თარჯიმნობის გამომრიცხავი გარემოებების შესახებ. ვადასტურებ, რომ მოჰამედ ხორამ ტოსის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ გამაჩნია. მე შევამოწმე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა და შევადგინე მინდობილობა, რომელიც მან თვითონ წაიკითხა. მოჰამედ ხორამ ტოსმა მკაფიოდ და ნათლად განაცხადა, რომ მინდობილობის ტექსტი სრულად შეესაბამება მის ნებას. მოჰამედ ხორამ ტოსმა ჩემი თანდასწრებით, პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას.

მინდობილობა

ორი ათას ჩვიდმეტი წლის ოცდარვა ნოემბერს შპს **“GREEN WAY “** წარმოდგენილი დირექტორის (ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შპს „ **GREEN WAY** “ -ის შესახებ, ს/კ 425052444) მოჰამედ ხორამ ტოსის სახით, ამ მინდობილობით უფლებამოსილებას ანიჭებს თამარ მაჭავარიანს (დაბ. 10.08.1984წ. პირადი №01008023070) იყოს შპს „ **GREEN WAY”** -ს (ს/კ 425052444) სრულუფლებიანი წარმომადგენელი ყველა მესამე პირთან, მათ შორის ნებისმიერ ადმინისტრაციულ ორგანოსთან, ქ. თბილისის მერიასთან და მის დაქვემდებარებაში არსებულ სამსახურებთან, მათ შორის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურთან და ზედამხედველობის სამსახურთან, (ნებისმიერი პროექტის ან/და ნებართვის მიღების/შეცვლის უფლებით), სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან ურთიერთობაში. მიმართოს მათ საჭირო განცხადებებით, განაცხადებით თუ სხვა სახის მოთხოვნებით, მიიღოს მათგან შესაბამისი პასუხები. სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან ჩემი სახელით დადოს და ხელი მოაწეროს ნებისმიერ გარიგებას, მათ შორის იჯარის ხელშეკრულებას (ხელშეკრულების ყველა პირობის თავის შეხედულებისამებრ განსაზღვრის უფლებით). წარადგინოს, მიიღოს და ხელი მოაწეროს შპს „ **GREEN WAY”**-ს (ს/კ 425052444) სახელზე გაცემულ ნებისმიერ დოკუმენტს, გაასაჩივროს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება.

მინდობილი პირი უფლებამოსილია შეასრულოს სხვა ნებისმიერი მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული ამ მინდობილობაში, მაგრამ აუცილებელია მიმნდობის კანონიერი ინტერესებისა და უფლებების დასაცავად.

მინდობილობა გაცემულია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს მ. ბიგვავას სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მიმნდობს.

სანოტარო აქტს, რომელიც რჩება სანოტარო ბიუროში თან ერთვის: ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შპს ` **GREEN WAY”**-ს (ს/კ 425052444) შესახებ. (ელექტრონული ვერსია).

მინდობილობა გაცემულია სამი თვის ვადით და ძალაშია 2018 წლის 28 თებერვლის ჩათვლით.

სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის გადახდევინებულია საზღაური 13,8 ლარი. მათ შორის 10 ლარი „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების 31-ე მუხლის საფუძველზე, სარეგისტრაციო მოსაკრებელი 2 (ორი) ლარი (დღგ-ს ჩათვლით) ამავე დადგენილების 39-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, ხოლო 1,8 ლარი–დღგ, თანახმად, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169–ე მუხლისა.

ხელმოწერა Mohammad Khoram Toos.

თარჯიმანი ნანა ჭანტურიძე

ნოტარიუსი